პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 283 (13667) | ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს — ღირსეული შეხვედრა!

რუსთაველ მშენებელთა წარმატება

რუსთავი. (საკ. კორ.). ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა ლენინის ორდენოსანი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის კოლექტივმა (მმართველი ზ. ჯაფარიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ქირია, პროფკავშირის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ზარიძე). მშენებლებმა 10 დეკემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წლიური გეგმა.

განსაკუთრებული წარმატებებია მოპოვებული ქიმიური და მეტალურგიული ობიექტების მშენებლობაზე, საცხოვრებელი ბინებისა და კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებების სამშენებლო მოედნებზე.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტად ისახელეს თავი „სინთეზმშენის", „სპეცმშენის", „ქიმმრეწვმშენის" და სხვა სამშენებლო სამმართველოებმა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1966 წლის 13 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის".

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები დ. ა. კუნაევი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. გ. ეგორიჩევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ე. შელესტი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. ტოლსტიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. შიტიკოვი — სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. გრეჩკო — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ვ. ვ. გრიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ი. ი. გოდიული — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ვ. კელდიში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ტ. უსუბალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, პ. მ. მაშეროვი, — გლავრუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ".

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი" და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება — „სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი".

ამ საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. მ. ს. სოლომენცევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა თავისი მუშაობა.

ზეგეგმითი დაგროვება — 1.500 ათასი მანეთი

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას შედეგად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით 1.100 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მიღებულია 1.500 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება. ამავე ხნის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების დავალება შესრულებულია 2,3 პროცენტის გადამეტებით.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის დაწინაურდნენ და თერთმეტი თვის დაკალებები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს წულუკიძის ამრეშუმაფსაღები (დირექტორი ვ. ბერიძე), სოხუმის ხაქსოი (დირექტორი ზ. ჯიმბა), თბილისის № 1 ბამბისხაქსოი (დირექტორი ა. ყალიჩავა), ქუთაისის ბამბის ხაქსოი (დირექტორი მ. ქაქუჩაია). თბილისის ფეხსაცმლის № 2 (დირექტორი ლ. დაბუნდარაძე), თბილისის ხაქტრიკოტაჟის (დირექტორი ა. ანტონოვა) ფაბრიკების, თბილისის მაუდ-კაშვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" (დირექტორი მ. ბაბუნაშვილი), ტრიკოტაჟის კომბინატის (დირექტორი გ. შარიქაძე) კოლექტივებმა.

ცნობები საწარმოებიდან

ბაშური. საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა პირველი სამეურნეო წლის საერთო პროდუქციის გამოშვების საწარმოო დავალება 2 დღით ადრე 12,5 პროცენტის გადამეტებით შეასრულა.

დ. ფარეიშვილი.

სამტრედია. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში ახალ შრომითს წარმატებას მიაღწია ჯულაშის ბამბის ფაბრიკამ, რომელმაც პირველ დეკემბერს სამშობლოს უპატაკა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება. ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი.

ფაბრიკის კოლექტივმა დაზოგილი ნედლეულით დამატებით 2.043 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ი. გოგოლაძე.

ზესტაფონი. ახალი ბუთწლედის პირველი წლის დავალებათა გასანაღდებლად სახახელოდ ოშრომა ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიკური საამქროს კოლექტივმა (საამქროს უფროსი გ. გვალია), რომელსაც წელს ოთხჯერ მიენიჭა ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ საამქროს კოლექტივი უკვე თვეზე მეტია პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში უშვებს.

პ. ნებიერიძე.

კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში

12 დეკემბერს ათასობით მოსკოველი შეიკრიბა კრემლის ყრილობათა სასახლეში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფხენიანის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დასკვნითს კონცერტზე. ეს იყო საბჭოთა მაყურებლების მეორე შეხვედრა შესანიშნავ კოლექტივთან, რომელსაც წინათაც გაუმართავს გასტროლები ჩვენს ქვეყანაში.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები პ. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. ანდროპოვი.

კონცერტზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კიმ ბენ დიკი და სხვები. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-135"

1966 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-135". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 93,5 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 662 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 299 კილომეტრი; ორბიტის დახრილობის კუთხე 48,5 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აშუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „პიონერის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოც წელთან დაკავშირებით და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ჟურნალი „პიონერი" დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1966 წლის 13 დეკემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც მიმართულია საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პარტიის XXIII ყრილობის მიერ შემუშავებული კურსის განხორციელებისაკენ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის, ზვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირს დიდი წვლილი შეაქვს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის საქმეში, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მშრომელთა მასების ბრძოლის საქმეში.

ამასთან ერთად, საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციისა და მშვიდობის განმტკიცების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის იმპერიალისტური სახელმწიფოების, პირველ ოგში ამერიკის იმპერიალიზმის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული წრეების აგრესიული პოლიტიკა. საჭიროა კვლავაც მტკიცე წინააღმდეგობა გაეწიოს იმპერიალიზმის ომის მოტრფიალეებს და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა და სამხედრო კონფლიქტების გაჩაღების მათს პოლიტიკას.

პლენუმი იწონებს პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის პოზიციას ვიეტნამის საკითხში და საჭიროდ მიაჩნია კვლავაც უოველმხრივი დახმარება გაეწიოს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეს, პლენუმი დიდმნიშვნელოვან ამოცანად თვლის ბრძოლას იმ პრინციპების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მთავრობათა მეთაურების ვარშავისა და ბუქარესტის თათბირების დოკუმენტებში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა განვამტკიცებდეთ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შეკავშირებასა და ძლიერებას, ვავითარებდეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობას სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, განვამტკიცებდეთ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას, მხარს ვუჭერდეთ კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, განუხრელად ვახორციელებდეთ ეროვნული განთავისუფლების ძალებთან კავშირის განმტკიცების კურსს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სავსებით იწონებს პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის ხაზს და პრაქტიკულ საქმიანობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომპარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დარგში. ჩინეთში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი მოწმობენ, რომ მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის დიდმპყრობელური, ანტისაბჭოთა პოლიტიკა ახალ, საშიშ ფაზაში შევიდა. კურსს, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელები ახორციელებენ საერთაშორისო ასპარეზზე; მათს პოლიტიკას სოციალისტური ქვეყნების მიმართ; მტრულ კამპანიას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ და გამთიშველ მოქმედებას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში — ყოველივე ამას საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან. ასეთი პოლიტიკა, ასეთი მოქმედება ზიანს აყენებენ სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს, თვით ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართ და ობიექტურად იმპერიალიზმს ეხმარება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადასტურებს, რომ ურყევია ჩინეთის კომპარტიასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის კურსი, რომელსაც ჩვენი პარტია ადგას. ამასთანავე, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გადაჭრით ამხილოს ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელების ანტილენინური შეხედულებანი და დიდმპყრობელური, ნაციონალისტური კურსი, გაამძლიეროს ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად, მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების მიერ შემუშავებული გენერალური ხაზის დასაცავად.

შექმნილ პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების აზრს, რომ ამჟამად ხელსაყრელი პირობები იქმნება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ახალი საერთაშორისო თათბირისათვის, რომელიც კარგად უნდა მომზადდეს პარტიებს შორის ურთიერთ კონსულტაციების მსვლელობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ თავიანთი აღმშენებლობითი შრომით კიდევ უფრო ამრავლონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, წარმატებით განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმები, რომლებიც დასახულია პარტიის პროგრამით და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებით, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 50 წლისთავს.

მიხეილ სერგის-ძე სოლომენცევი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

დაიბადა 1913 წელს გლეხის ოჯახში, რუსეთში, სკკპ წევრია 1940 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1930 წლიდან კომპმეურნეა. 1940 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — ოსტატი, საამქროს უფროსი, ცენტრალური კომიტეტის პარტორგი, მთავარი ინჟინერი, ქარხნის დირექტორი. 1954-1957 წლებში იყო სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, შემდეგ მეორე მდივანი. 1957 წლიდან იყო ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. 1959 წლიდან პარტიის უარავანდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია, შემდეგ კი უზბეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. 1964 წლიდან — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია. 1966 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარეა.

დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.



ეროვნული წარმატებებით დაიწყო საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე, საიუბილეო წელი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოს — მოსკოვის ელექტროვაკუუმურ ხელსაწყოთა ქარხნის კოლექტივმა. მთავრდება ფერადი ტელევიზიის კინოსკოპების საამქროს მოწყობილობის მონტაჟი და გამართვა. მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს საამქროს მოწყობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სიძნელეთა დასაძლევად. სურათზე: ფერადი ტელევიზიის კინოსკოპების საამქროს საერთო ხედი.

ფოტო ვ. კუნოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ძირითადად მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

კომუნისტი

პირადი მაგალითი

ა. ძაძუა,
საქართველოს კპ ბალის რაიკომის პირველი მდივანი

პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის აღმავლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდისათვის არის გათვალისწინებული. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ზრუნვა უდევს საფუძვლად რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაციის მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. ისინი ხათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას მიწათმოქმედების მაღალი კულტურის, მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტები აღფრთოვანებენ ადამიანებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, პირადი მაგალითით. მათ ამოქმედებს სკკპ XXIII ყრილობის მოთხოვნა პარტიის წევრის წოდების ამაღლებისა და სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვის აუცილებლობის შესახებ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს მრავალი ასეული კომუნისტი. ისინი იღვწიან საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე რთულ, პასუხსაგებ უბნებზე, გამოდიან კარგ საქმეთა ინიციატორებად, ღრმად სწვდებიან მეურნეობის ეკონომიკას. ყოველივე ამან საშუალება მიცა რაიონის მშრომელებს ხუთწლედის პირველ წელს თვალსაჩინო მაჩვენებლები-მოგებოვებინათ საოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. და ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის მეჩაიეობაზე. ჭერ კიდევ 15 აგვისტოსათვის ჩვენმა მეჩაიეებმა უპატაკეს სამშობლოს მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება, ხოლო 30 სექტემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებაც. მრეწველობას ჩაბარდა 18.606 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.075 ტონისა. ეს 1.500 ტონით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე და 5.000 ტონით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. წელს, გასულ წელთან შედარებით, რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 1.035 კილოგრამით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

შესანიშნავად იმუშავეს რაიონის მეგბრიშუმეებმაც, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად წელს, პირველად უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, შესრულდა აბრეშუმის პარკის ჩაბარების სახელმწიფო დავალება; დამზადდა და მრეწველობას ჩაბარდა 138 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი პარკი.

ჩვენმა მეციტრუსეებმა წელს არნახული მოსავალი მოიყვანეს. მანდარინის ჩაბარების წლიური დავალება უკვე ხუთმაგად არის შესრულებული. დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 1.770 ტონა ნაყოფი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 345 ტონისა.

წარმატებით შესრულდა აგრეთვე ყურძენის, სიმინდის, ხილის, ბორცვისა და სხვა სახის პროდუქტების დამზადების დავალებები.

სრულყოს პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, გაამიერთოს შესრულების შემოწმება და კონტროლი, აღზარდოს კადრები მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით — აი რაში ხედავს პარტიის რაიკომი ახალ პირობებში მთელი თავისი მუშაობის გაუმჯობესების საწინდარს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის განმტკიცებასა და ამაღლებას. ეს გასაგებიც არის, რადგან ისინი ბრძოლის წინა ხაზზე არიან და მათს ორგანიზატორულ მუშაობაზე, ყველა კომუნისტის ერთსულოვან და მიზანდასახულ მოქმედებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საქმის წარმატება. რაიკომი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელი, წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ იგი ყოველთვის იმოქმედებს კომუნისტებთან, აქტივთან ერთად, დაეყრდნობა პარტიულ ორგანიზაციებს და მათი მეშვეობით გადაჭრის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მომწიფებულ საკითხებს.

მისაბაძია სოფელ მუხურის კოლმეურნეობა „შეშელეთის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის (ბიუროს მდივანი შ. ლაზარია) საქმიანობა. აქ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის კომუნისტთა მიერ საწესდებო მოვალეობათა შესრულება, წარმოებაში მათი ავანგარდული როლი, პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

ყოველივე ეს განამტკიცებს პარტიულ ან სახელმწიფო დისციპლინას, ამაღლებს კომუნისტების პასუხისმგებლობას.

პარტიული ორგანიზაციის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ კოლმეურნეობა ყოველწლიურად გადამეტებით ასრულებს ყველა სახის დავალებებს და ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა რაიონში. კერძოდ წელს კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 33,2 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად), მოიკრიფა 306,5 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 245 ტონისა, სახელმწიფოს ჩაბარდა 2,9 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად 2,8 ტონისა), აგრეთვე გეგმაზე მეტი მეცხოველეობის პროდუქტები.

ამ კოლმეურნეობის მინდვრებსა და ტყეში შეჯიბრების საჭიროობას, მორალურ და მატერიალურ სტიმულებს. საბჭოთა მეურნეობის ეზოში მოწყობილია ე. წ. „მეურნეობის კომპასი“, რომელიც ყოველდღიურად ასახავს დავალებათა შესრულების მიმდინარეობას. აქვეა სოციშეჯიბრების დაფა, გამოდის ხუთდღიური ორგანო „ელვა“, უშვებენ ავრეთვე სატირულ-იუმორისტულ გაზეთს. მოწინავეთა დაფიდან და საპატიო წიგნიდან ეცნობით მეურნეობის სახელოვან ადამიანებს. ყველაზე ხაუკეთესოებისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები; მათივე ენიჭებათ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ფოტოალბომი ოპერატიულად ასახავს სამეურნეო საქმიანობის მასალებს.

ჩვენი რაიონის ფარგლებს გასცდა ოქუმის ლენინის. მუხურის ჯგუფურიას, ნაბაკეევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობების, ახიგვარის, გალისა და მზიურის ჩაის, მზიურისა და კოზორის ციტრუსების სახმეურნეობების კომუნისტთა შრომითი საქმეები.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის მგმირი, კომუნისტი კალისტრატე ბულისკერია ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 8 ტონა ჩაის ნედლეული, ამავე კოლმეურნეობის № 16 ბრიგადამ (ხელმძღვანელი სკკპ წევრი ბ. შონია) — 7,5 ტონა, ჯგუფურიას სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ (ხელმძღვანელი კომუნისტი ე. ცაცა) — 7 ტონა, ხოლო მზიურის ციტრუსების სახმეურნეობის ბრიგადა (ხელმძღვანელი კომუნისტი ბ. ბ. ბენიას) — 7 ტონა, ბოლო მზიურის ციტრუსების სახმეურნეობის ბრიგადა (ხელმძღვანელი კომუნისტი ბ. ბ. ბენიას) — 7 ტონა, ხ

მეგობარ ქვეყნებში

გულგარეთი

გულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეგობრულ და გულითად ვითარებაში დაიწყო მოლაპარაკება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაციასთან, რომელიც ჩამოვიდა აქ, რათა გამოცდილება გაუზიაროს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას.

ბულგარეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა იუგოსლავ კომუნისტებს გააცნეს ბულგარეთის კომპარტიის პოლიტიკა და ეონომიკური, პერსპექტივები, რომლებიც ბულგარეთის წინაშე ისახება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, პარტიის როლი ბულგარეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

გდრ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა აღნიშნეს ჯანმრთელობის დაცვის დღე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მუდამ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის უყურადღების ცენტრშია. ეს განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 11 დეკემბერს გამართულ საზეიმო სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მაქს ზეფრინმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველწლიურად ადიდებს სახსრებს ჯანმრთელობის დაცვისათვის. წელს ამ მიზნით 80 მილიონ მარკით მეტი სახსრები გამოიყო, ვიდრე შარშან, ერთ წელიწადში ექიმების რიცხვი რესპუბლიკაში თითქმის 2,5 ათასით გაიზარდა. სულ კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამჟამად 30 ათასზე მეტი ექიმია, 400-ზე მეტი პოლიკლინიკა და ათას ხუთასამდე ამბულატორია.

უნგრეთი

ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1967-1968 წლების გეგმას. გეგმით გათვალისწინებულია გაფართოვდეს თანამშრომლობა ორი ქვეყნის უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, აგრეთვე კულტურის საზოგადოებებსა და შემოქმედებითს სახელოსნოებს შორის. დასახულია მეცნიერი მუშაკების, პედაგოგებისა და მხატვრების გაცვლა.

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიაში დიდი წარმატებით ჩაიარა რუსეთის სფარ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ირაკლი ანდრონიკაშვილისა** და მოსკოვის ფილარმონიის მსახიობის **იაკობ სმოლენსკის** კონცერტებმა, რომლებიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში მონაწილეობდნენ.

პრაღაში, ბრატისლავაში, ლიბერეცში, გრადეც-კრალოვეში, ნიტრაში, პისეკში, პარტიზანსკში გაიმართა საბჭოთა მსახიობების 15 შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის მშრომელებთან, რომლებმაც იციან რუსული ენა და დიდ ინტერესს იჩენენ რუსული და საბჭოთა ლიტერატურული შემოქმედებისადმი.

პოლონეთი

ქალაქი ქენშუი — პოლონეთის ნავთობის მრეწველობის წამყვანი ცენტრი — სადღესასწაულოდ არის მორთული. ამ შენავთობის დღის გამო გამართულ ზეიმზე შეჯამებულია სახალხო პოლონეთის გეოლოგთა და გეოდეზისტთა. გეოფიზიკოსთა და მბურღავთა დიდი რაზმის მუშაობის შედეგები.

ნავთობის მოპოვების გეგმა წელს 35 ათასი ტონის გადაჭარბებით შესრულდა. ეს წელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისთვის რეკორდული წელია შავი ოქროს მოპოვების დარგში, რაც 1961 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა.

პოლონეთის ნავთობის მრეწველობის განვითარებას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირმა პოლონეთს გადასცა დიდმწარმოებლური საბურღი მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე სეისმური აპარატურა. პოლონეთის სხვადასხვა რაიონში ჭაბურღილებს ბურღავს საბჭოთა მენავთობეების რაზმი. მათი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. აღმოჩენილია ნავთობის ახალი საბადოები ზელენა გურის, პოზნანის, ვარშავის, ლობლის, კრაკოვისა და ლუბლინის საგუბერნიოებში.

კუბა

კუბელმა ხალხმა დიდი ბნის ტრადიციის თანახმად აღნიშნა იმ გმირთა ნათელი ხსოვნა, რომლებიც დაიღუპნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 70 წლის წინათ პავანის პროვინციაში ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა კუბის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახალხო სარდალი ანტონიო მასეო.

სოფელ კაკაულში, სადაც დაკრძალულია გმირის ნეშტი, გაიმართა კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების პარადი. პარადის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა მაიორმა ლინო კარერასმა. მან მოუწოდა კუბის არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს მუდამ მზად იყვნენ სამშობლოს დასაცავად, იყვნენ ღირსნი დაღუპულ გმირთა ხსოვნისა.

მონღოლეთი

ულან-ბატორი. აქ ზეიმით ჩაუყარეს საფუძველი ულან-ბატორის ახალ თბოელექტროცენტრალს, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდება. იგი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ობიეტი ღენდა, რომელიც მეოთხე ხუთწლედში აშენდება.

ამ თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი მწყობრში ჩადგება 1968 წელს.

(საკდესი).



პოლონეთი. ელექტროსადგურ „პორაბკას" კაშხალი მდინარე ხოლაზე. ახლა ამ სწრაფ წყალუხვ მდინარეზე მთელი რიგი ელექტროსადგურები შენდება.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

საერთაშორისო ცხოვრება

მებრძოლი ვიეტნამის მხარდასაჭერად

პავანაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მოაწყო ვიეტნამელი ხალხისადმი მხარდაჭერის სამი კონტინენტის კომიტეტმა. ადგილობრივი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტების წინაშე სიტყვა წარმოთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ კარდენასმა.

იმასთან დაკავშირებით, რომ 20 დეკემბერს იქნება წლისთავი სრულდება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის დღიდან, განაცხადა მან, სამი კონტინენტის კომიტეტმა მიიღო მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი. მიმართვაში კომიტეტი მოუწოდებს ხალხებს გააქტიურონ თავიანთი მოქმედება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ომის წინააღმდეგ, ქმედითი მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ხალხს, ამერიკის მთავრობას მოსთხოვონ შეწყვიტოს ომი ვიეტნამში, გაიყვანოს იქიდან თავისი ჯარები და ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, როგორც სამხრეთვიეტნამელი ხალხის ერთადერთი და ნამდვილი წარმომადგენელი.

„ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ ომის ესკალაციას ვიეტნამში, ზრდიან თავიანთ შეიარაღებულ ძალებს და აძლიერებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის, აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთ ვიეტნამს შორის მდებარე დემილიტარიზებული ზონის დაბომბვას", — ნათქვამია სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭოს განცხადებაში. საბჭო აღნიშნავს, რომ საესებით უპირს მხარს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას და მოუწოდებს პროფკავშირთა კონგრესს შედგეს ამერიკის შეერთებული შტატების ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული ფრონტი, როგორც სამხრეთვიეტნამელი ხალხის ერთადერთი და ნამდვილი წარმომადგენელი.

„ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ ომის ესკალაციას ვიეტნამში, ზრდიან თავიანთ შეიარაღებულ ძალებს და აძლიერებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის, აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთ ვიეტნამს შორის მდებარე დემილიტარიზებული ზონის დაბომბვას", — ნათქვამია სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭოს განცხადებაში. საბჭო აღნიშნავს, რომ ამერიკელ ხალხს, ამერიკის მოსახლეობის ფართო ფენებს, ამერიკელ ინტელიგენციას, ამერიკელ ფილოსოფოსებს, ამერიკელ ფიზიკოსებს, ამერიკელ ინჟინრებს, ამერიკელ ექიმებს, ამერიკელ ეკონომისტებს, ამერიკელ ჟურნალისტებს, ამერიკელ ფილმების ოსტატებს, ამერიკელ ფერმერებს, ამერიკელ ფოლადმდნობელ



ახალი ამბები

ზესტაფონიდან იაპონიაში, იტალიაში...

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქვეყნოდ არის ცნობილი სალეიფოსა და შროშის ფერადი მარმარილო. აქაური მარმარილო ჩვენი სამშობლოს ექვსასზე მეტ მშენებლობას ეგზავნება. მასზე დიდი მოთხოვნილებაა იტალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და უცხოეთის სხვა ქვეყნებში.

მარმარილოს მომპოვებლებმა უკვე შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება, შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 8 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მოგებამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა.

დიადი თარიღების შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საწარმოო უბნები, რომლებსაც ძმები ვახილ და მიხეილ მოდებაძეები უძღვებიან.

ხუთწლედის შრომითს ვახტზე ახალ გამარჯვებებს ჭედენ მარმარილოს მომპოვებლები ბ. ჭუმბურიძე, ტ. მოდებაძე, რ. სარალიძე, ლ. მუმლაძე, ჯ. ბაზღაძე და სხვები. ახინი პროდუქციას 1967 წლის ანგარიშში იძლევიან.

სიახლენი სოფლიდან

ცაგერი. (საკ. კორ.). მთიან სოფელს ღვარიშს კიდევ ერთი სიახლე შეემატა, აქ ამ დღეებში გაიხსნა ახალი ტიპური სასოფლო მაღაზია.

მაღაზიების, სასადილოებისა და სავაჭრო ფარდულების რიცხვმა რაიონში უკვე 70-ს მიაღწია.

სავაჭრო ქსელის გაფართოებასთან ერთად იზრდება საქონელბრუნვა, მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა 250 ათასი მანეთით გაიზარდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა პიანინოებზე. ტელევიზორებზე, შეკერილ ტანსაცმელსა და სხვა საქონელზე.

ახალციხე. (საკ. კორ.). ტრესტ საქკოოპშშენის ახალციხის სამშენებლო უბნის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა წელს ბევრი სასიხარულო სანუქარი მოუმზადეს მესხეთ-ჯავახეთის რაიონების მშრომელებს. ათ თვეში მათ ქალაქ ახალციხეში ააშენეს ორსართულიანი კულტმაღაზია, სოფელ აწყურში— კაფე-პავილიონი, წინუბანში სასოფლო უნივერსალური მაღაზია. ახალქალაქის რაიონის სოფელ ბრატენაში ააგეს უნივერსალური მაღაზია, ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში — სასოფლო მაღაზია და კაფე-პავილიონი.

წლის ბოლომდე მშენებლები დაამთავრებენ საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის კიდევ ხუთ ობიექტს.

მონრეალის გამოფენაზე

მომავალი წლის აპრილში მონრეალში (კანადა) მოეწყობა მსოფლიო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს 70 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის ეკვსი ათას ექსპონატს შორის ნაჩვენები იქნება თბილისის კერამიკული კომბინატის — კომუნისტური შრომის საწარმოს პროდუქცია.

დეკემბრის დამლევს კომბინატი მონრეალში გაგზავნის თავისი პროდუქციის პირველ პარტიას — 1200 ცალ მხატვრულ კერამიკას, რომელიც სხვადასხვაფრად იქნება მოჭიქული. ეს კერამიკა გამოირჩევა სადა ფორმებით, მკაფიო კომპოზიციური გადაწყვეტით, მოხატულია ეროვნული ორნამენტით. (საქდესი).

საქართველოს სტუმრები

გავაფართოოთ ჩვენი ურთიერთობა

თბილისში ორ დღეს იყვნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პ. მაკოვეი მეუღლითურთ, რუმინეთის მოსკოვის საელჩოს მდივანი ბ. კირიაკი და მათი თანმხლები სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების სამმართველოს უფროსი გ. ტიმოშინი.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და სამხატვრო აკადემიაში. აკადემიის ახალ კორპუსში. პ. მაკოვეის ყურადღება მიიპყრო კათედრებმა, სადაც სწავლობენ გამოყენებით ხელოვნებას, მრეწველობის ესთეტიკას, სტუმარმა დაათვალიერა აკადემიის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია სტუდენტთა საუკეთესო საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები, აგრეთვე მასწავლებელთა ნამუშევრები. მაკოვეიმ, რომელმაც დაათვალიერა თბილისის ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის ნაწარმოებებში იგრძნობა ძიება და დაკვირვებულობა.

12 დეკემბერს საღამოს რუმინელი სტუმრები კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „ჯახაბერის ხმალს". სპექტაკლის დაწყების წინ მაყურებელთა, თეატრის კოლექტივისა და საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელით სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე.

აღტაცებული ვარ სპექტაკლით, — თქვა პ. მაკოვეიმ, როცა მიესალმა მსახიობებს. სპექტაკლმა ყვიოა ჩემს მოლოდინს ჭადააჭარბა. თქვენ შექმენით ჭეშმარიტად ეროვნული, ორიგინალური, ფორმით გამდიდრული სპექტაკლი. ჩვენ არ ვიცით ქართული ენა, მაგრამ გავიგეთ, რა ხდებოდა სცენაზე. ეს კი ადასტურებს იმას, რომ კარგ ხელოვნებას თარგმანი არ სჭირდება.

ყოველივემ რაც ვნახეთ თქვენს თეატრში, მუზეუმებში, საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. საჭიროა გავაფართოოთ ჩვენი ურთიერთობა, მოვაწყოთ გაცვლითი გამოფენები, ცალკეულ სცენის ოსტატთა და შემოქმედებით კოლექტივთა გასტროლები. ეს ორივე მხარისათვის საინტერესო იქნება.

13 დეკემბერს სტუმრები, რომლებიც განაგრძობენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, ერევანს გაემგზავნენ. (საქდესი).

შემოდგომის დღეს. ფოტო ს. კოლაძისა.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

⊙ **ზუგდიდში** ჩამოვიდა როსტოვის სახელმწიფო ცირკის ვერტიკალურ კედელზე მოტომრბოლთა ჯგუფი. ისინი უჩვენებენ კედელზე სპორტულ მოტორბოლას სხვადასხვა ფიგურული ნომრებით (სრულებენ საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატები პეტრე გრეგბენიუკი და ვიქტორ ბიჩკოვსკი). პროგრამაში აგრეთვე შეტანილია სანახაობა — გაწვრთნილი დათვები მოტოციკლით. **ბ. ალშიბაია.**

⊙ ქალაქ ვალეს მეშახტეთა კულტსახლის კოლექტივმა წარმოადგინა თ. ფეიქაძის დრამა „ულტ მიქავი", რომლის დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა ი. ახობაძემ.

ამ დღეებში მეშახტეთა კულტსახლის სცენისმოყვარენი ამ სპექტაკლით ეწვევიენენ ქალაქ ახალციხეს. ნ. იაძე.

⊙ **საბჭოთა** კავშირის მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ორგანომ — დრამატურგიისა და თეატრის ყოველთვიურმა ჟურნალმა „ტეატრმა" მე-11 ნომერში დაბეჭდა ტყვარჩელელი მწერალ-დრამატურგის ანდრო ყვანიას დრამატული პოემა „რუსთაველის ხმალი".

ანდრო ყვანია ტყვარჩელის № 2 შახტში მუშაობდა შრომისა და ხელფასის განყოფილებაში, ახლახან პენსიაზე გადავიდა და დაუღალავ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა. **ბ. ბარქაია.**

სიკეთის სახელით

არ. გაბაიანის დრამა „დედის გული" თბილისის შაუმიანის სახელობის თეატრის სცენაზე

ამ ხუთიოდე თვის წინათ გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც ჩვენმა ხალხმა მოწონებით მიიღო.

ამ საქმეში უთუოდ თავისი წვლილის შეტანის კეთილშობილური აზრი ამოძრავებდა თბილისის სომხურ თეატრს, როდესაც მიმდინარე სეზონში პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა **არტ. ბაბაიანის** დრამა „დედის გული". ამ უაღრესად აქტუალურ სპექტაკლში მხატვრულად ასახულია პათოსი ჩვენი საზოგადოებრიობის შეუნელებელი ბრძოლისა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

სპექტაკლი იწყება ლირიკული შესავლით — პატიოსანი შრომითა და ჯაფით ჯანგატეხილი დედა ღრმა სულიერი ტკივილებით განიცდის გზასაცდენილი ვაჟიშვილის ტრაგედიას. მაგრამ რას გახდება მარტოდმარტო დედის გული, თუ მას მთელმა საზოგადოებამ არ აუბა მხარი?

მაყურებელი გულწრფელად თანაუგრძნობს უბედურ დედას და დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს ცხისიდან დაბრუნებული შვილის ყოველ ნაბიჯს — კვლავ მოლიპული ბილიკებით ავლის თუ სიკეთის დიად გზას აირჩევს. იგი საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას. ნაძირალები თავისკენ ეპატიჟებიან მას, მაგრამ არ სძინავს საზოგადოებრივ ხარსაც: კეთილი ადამიანები მკაცრად დაგმობენ ყოფილი დამნაშავის წარსულს, მაგრამ ამასთან ყოველგვარ შეშფოთებასა და დახმარებას გაუწევენ, რომ იგი პატიოსანი შრომის სიტკბოებას აზიარონ და ცხოვრების სწორ გზაზე გამოიყვანონ. რასაც, დიდი დაბრკოლებების გადალახვით, კიდეც ადწევენ.

მთელი სპექტაკლი გაჟღენთილია ხელოვნებისა და დამნაშავეობის დაგმობის სულისკვეთებით ეს ბოლომდე გასდევს მახვილ მოვლენებთან ჩვენი ხალხისა და ადმინისტრაციული ორგანოების შეუნელებელი ბრძოლისადმი მგზნებარე მოწოდება. მაგრამ ეს ყველაფერი სცენაზე შაბლონურად როდი ხდება, არამედ ღრმად ამაღელვებელი და დამაჯერებელი სიტუაციებით არის გადაწყვეტილი. სწორედ ეს არის ამ სპექტაკლის ღირსება და ამიტომაც მიიღო იგი მაყურებელმა გულთბილად.

ამაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის დამდგმელ რეჟისორს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ჰ. უმიკიანს, სპექტაკლი გამოირჩევა დასამახსოვრებელი, გონებამახვილური ლაკონიური მიზანსცენებით და შინაარსიანი მხატვრული დეტალებით.

კარგა ხანია სომხურ თეატრში არ გვინახავს ისეთი დახვეწილი მხატვრობა, როგორიც ახლავს ამაო სპექტაკლს. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თეატრის მთავარი მხატვრის რ. ნალბანდიანის დეკორაციები მეტყველია და საკმაებით ეხამება სცენაზე გადაშლილ სანახაობას.

სპექტაკლში ბევრი დასამახსოვრებელი სახეა, მაგრამ ამთვალან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ დედა მანუში, ქალიშვილი არფიკა, გარეწრების ატამანი შავარშა და მილიციის ლეიტენანტი სამსონი. ვენერა აკოფიანი (რესპუბლიკის სახალხო არტისტი) დიდი დამაჯერებლობით ასრულებს მკრძნობიარე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედის როლს. ს. შეკოიანის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) არფიკა სულიერი სითბოთი და ლირიზმით აღსავსე ჩვენი დროის ტიპიური ქალიშვილია. მისმა გონივრულმა და წინდახედულმა მიდგომამ ბედნიერებას აზიარა გზასაცდენილი ახალგზრდა. რ. პაპოვიანის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) გარდასახვაში მაყურებელი ნათლად ამოიცნობს შავარშს — ჩვენი საზოგადოებისათვის მავნე, გამოუსწორებელ, სულიერად და მორალურად გახრწნილ ელემენტს, ხოლო რ. სიმონიანის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) უბნის რწმუნებული სამსონი მაყურებელს ამახსოვრდება როგორც მილიციის ისეთი მუშაკი, რომელიც თავდადებულად, უმწიკლოდ ეწევა ძნელ, მაგრამ საპატიო სამსახურს.

უთუოდ კარგია რ. ჰოვანისიანი, არმენის როლში.

სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება მდიდარია პიესის შინაარსის შესატყვისი ეროვნული ხალხური მელოდიებით.

ულმობელი ბრძოლა დამნაშავეობას, მაგრამ ვისი გამოსწორებაც შეიძლება, მათთ მიმართ მაქსიმალური მზრუნველობა! — ამ კეთილშობილური გრძნობით ტოვებს მაყურებელი დარბაზს და სწორედ ამაშია თეატრის კოლექტივის წარმატებაც.

არ. დავითიანი.

,,სალხინოს" მეხუთე გამარჯვება

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). მსოფლიოში საუკეთესო სახელი აქვს მოპოვებული საქართველოს მეღვინეობას. თითქმის იშვიათია მეღვინეობის საერთაშორისო კონკურსი, სადაც წარმატებით არ მონაწილეობდეს ჩვენი რესპუბლიკის ღვინოები და კონიაკები. საქვეყნოდ გაითქვა სახელი ქართულმა ღვინომ „სალხინომ", რომელსაც ვარციხის ღვინის ქარხანაში ამზადებენ.

ამას წინათ აქ — ვარციხის ქარხანაში კიდევ ერთი სსიხარულო ცნობა მიიღეს. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ღვინოების საერთაშორისო კონკურსზე „სალხინომ" ოქროს მედალი დაიმსახურა. ეს „სალხინოს" მეხუთე გამარჯვება და მეხუთე ოქროს მედალია.

კალათბურთი

ნიშნიანი სეზონი

ლევ ფილატოვი

ჩვენს ქვეყნის ყველა ჩემპიონატი დამთავრებისას ალბათ რაღაც პრობლემებსა და ამოცანებს დაიყენებდა ხოლმე. მაგრამ მე არ მახსოვს სხვა ისეთი ზამთარი, როცა, როგორც წელს, დარჩენილიყო იმდენი გაურკვეველი რამ, როცა დაგროვებულიყო ესოდენ ბევრი ურთიერთ საწინააღმდეგო მსჯელობა და შეფასება. ერთი შეხედვით თითქოს ისეთი უბრალო კითხვა, თუ საერთოდ, ერთი სიტყვით როგორ (კარგი თუ ცუდი) შევაფასოთ გახული სეზონი, ამჯერად ვერ პოულობს გარკვეულ პასუხს, რომელსაც ყველა ეთანხმებოდეს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ვიყავი. იქ განიხილავდნენ წინადადებებს, თუ როგორი უნდა იყოს ფეხბურთი მომავალ წელს. ამ დოკუმენტს, როგორც მიღებულია, ჰქონდა „საკონსტატაციო ნაწილი", სადაც შეჯამებული იყო გახული სეზონის ზოგიერთი შედეგი. და აი, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდიუმის წევრთა მოთხოვნით ამოღებულ იქნა ეს „ზოგიერთი შედეგი", რამდენადაც ეს შედეგები ზოგს მიაჩნდა დაუმსახურებლად გაზვიადებულად, ზოგს კი ამდენადვე დაუმსახურებად დაკნინებულად.

მაინც რამ გახადა 1966 წლის სეზონი ასეთი წინააღმდეგობების შეცვლილად და შეფასებისათვის საძნელოდ?

ფეხბურთში ჩვეულებრივ მიღებულია ვითარება ხასიათდებოდეს გუნდების სპორტული შედეგებისაგან პირდაპირი დამოკიდებულებით. და აი, მე ვფიქრობ, რომ წელს შეიქმნა სიტუაცია, როცა ეს პრინციპი შეირყა. და იგი შეარყია არა ვიღაცამ, არამედ შეარყიეს ფეხბურთის თვით მოყვარულებმა, იმათ, ვისთვისაც ეს თამაში არსებობს.

აი მაგალითები:

ჩვენმა ახალგაზრდა მოთამაშეებმა ევროპის ფედერაციის პრიზი მოიგეს, პირველად მიაღწიეს ასეთ დიდ წარმატებას. სასიამოვნოა? კარგია? უთუოდ. და ამავე დროს ყოველმა რეალისტურად მოაზროვნე ადამიანმა, რომელმაც იცის, თუ რა სიძნელეებს აწყდება ჩვენში საფეხბურთო განათლება, როგორ არა ბყოფნით ახალგაზრდებს კარგი მინდვრები, კარგი მწვრთნელები, ზოგჯერ ბურთები და ბუტსებიც კი, არ შეიძლება ერთგვარი გაოცება არ გამოთქვას ამ გამარჯვების გამო. ამასთან ერთგვარი შეშფოთებაც კი: ხომ არ დაამშვიდებს ხაზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ეს ვაზა ადამიანებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ფეხბურთის საფუძველთა საფუძვლისათვის — მისი ახალგაზრდული რგოლისათვის?

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხე ადგილი! ჩვენი ნაკრები არასოდეს არ ასულა ასეთ სიმაღლეზე ტურნირებში. სასიამოვნოა? კარგია? რა თქმა უნდა, კარგია! ახლა კი სამართლეს ნუ დავშალავთ, ვთქვათ, ახარებდა თვალს ჩვენი ნაკრების თამაში? ამ აზრით იგი დანარჩენ პრიზიორთა ბადალი იყო? არ ვიცი, მე ჯერჯერობით არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც აკმაყოფილებდეს ჩვენი გუნდის წმინდა საფეხბურთო ხასე.

მკაფიო ძლიერი ანსამბლი, ვთქვათ, ისეთი, როგორიც მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი — ინგლისის ნაკრებია, ჩემი აზრით თითქოს რაღაცით მოგვაგონებს, ვთქვათ, ხომალდის, თვითმფრინავის, ქარხნის უახლეს მოდელს. მასში აუცილებლად არის ნოვატორობის ნიშნები. წინგადადგმული ნაბიჯი. გრძნობ, რომ იგი, ეს ანსამბლი, ვიღაცის მიერ არის ჩაფიქრებული, დაგეგმილი და აგებული. ჩვენს ნაკრებს არათუ არ უთქვამს ახალი, არამედ არც კი უცდია ეთქვა, მთელი მისი ძალღონე უკეთეს შემთხვევაში იქითკენ იყო მიმართული, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაეწია მეტოქისათვის, და არა იქითკენ, რომ შეგნებული, შემუშავებული და ტემპერამენტიანი შეტევა ეწარმოებინა. ხაერთოდ ჩვენი „ხომალდი" ძველი მოდელისა იყო და სპორტული წარმატება მას მოუტანა პირველ რიგში მისი მატერიალური მამაცობამ, სიმტკიცემ და ენთუზიაზმმა.

აი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატიც დამთავრდა. რა კარგია: ახალი ჩემპიონი — **კიევის „დინამო"** — ჩინებულად თამაშობდა, ერთბაშად ორი გუნდი — **როსტოვის სკა** და **ბაკოს „ნეფტჩანიკი"** თავიანთ ისტორიაში პირველად გახდნენ პრიზიორები! თითქოს უნდა გვიხაროდეს, რომ იშვა ახალი საფეხბურთო ძალები...

და კვლავ უნდა მოვიშველიო იგი ხიტყვა „მაგრამ". ხომ ვიცით, რომ ამჯერად ჩემპიონმა ქულების უჩვეულო რაოდენობით გაუსწრო დანარჩენ გუნდებს, რომ იგი მთელი წლის მანძილზე პირდაპირ ტრაგიკულად განმარტოებული იყო ავანგარდში. ვიცით ისიც, რომ როსტოვისა და ბაკოს ნიჭიერ გუნდებს, რომლებიც გაბედულად ამყარებენ იმედს თავიანთ ფორვარდებზე, ჯერ კიდევ რიდი მოუღწევიათ ჩვენი „დიდი ექვსეულის" დონისათვის, იმ გუნდების დონისათვის, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოლება მოუგიათ. და ადვილი სავარაუდოა, რომ ცსკა-სა და „ტორპედოს" ფინიშზე უცნაური დამბლა რომ არ დამართნოდათ, ცხრილს შესაძლოა სხვა სახე მიეღო. ვიცით ისიც, რომ საბჭოთა ფეხბურთის უკლებლივ ყველა ძველ ნაცად ლიდერს (მოსკოვის ოთხი გუნდი და **თბილისის** გუნდი) ხეზონი სულაც არ ჩაუტარებია ისე, როგორც შეჰფეროდა.

მართალია, უკვე იყო ცდები კიეველთა უნიკალური წინგაბრა აეხსნათ მათი თამაშის უნიკალობით, დანარჩენი გუნდების დონე კი მიეჩნიათ როგორც ჩვეულებრივი. მაგრამ ამბებზე ასე მსჯელობა შეუძლიათ მხოლოდ წინასწარ აღებული აზრის მქონე, დაინტერესებულ ადამიანებს, რომლებისთვის ხელსაყრელია მდგომარეობა ნორმალურად მიიჩნიონ, რომლებსაც სურთ, რომ მათ არ აწუხებდნენ.

აი ყველა ეს ხავსებით აშკარა წინააღმდეგობა ქმნის, ვფიქრობ, გაოცებისა და ეთანგვარი დაბნეულობის ატმოსფეროს ჩვენს ფეხბურთის სამყაროში.

გაოცება. — ეს არც ისეთი უბედურებაა, იგი, როგორც ცნობილია, დროთა მსვლელობაში გაიფანტება ხოლმე. უფროო ცუდი და საშიშია სხვა: აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის დროს ყოველთვის გაცოცხლდებიან ხოლმე ის ჩამორჩენილი თეორიები, რომლებიც თითქოს დიდიხნის დასამარებული იყო. აი ახლაც თავი წამოყვეს ეგრეთწოდებული ათლეტური, შემტევი, მამაცური ფეხბურთის მქადაგებლებმა. სადავო არ არის, რომ ეს თვისებანი თავისთავად კარგი და საჭიროა. მაგრამ როცა მათ პირველ პლანზე აყენებენ, მომავალ გამარჯვებათა მთავარ გარანტიად აღიარებენ და ამ თვისებებს რატომღაც აცხადებენ საბჭოთა ფეხბურთის ძირითად, ყველაზე დამახასიათებელ თვისებებად, ეს უკვე საშიშროებაა. გულსატკენია, იმიტომ, რომ ამით უგულებელყოფენ საფეხბურთო ოსტატობის თვით არსს, ბურთის ფლობის დიდ ხელოვნებას, ფეხბურთის მთელ სილამაზეს, მოედანზე ადგილგადანაცვლების გონივრულ საწყისს, რაც უპირატესად გვაყენებს ამ თამაშს. საწყენი ხდება იმიტომაც. რომ ფეხბურთი აი უკვე მეორე საუკუნეში გადადგა, ჩვენს სამამულო ფეხბურთს კი მალე 70 წელი შეუსრულდება, ხოლო დღემდე გვხვდებიან თეორეტიკოსები (და რაც კიდეკ უარესია — პრაქტიკოსებიც!), რომლებიც ცდილობენ ფეხბურთისათვის მზადყოფნის ოთხ განუყოფელ, ბუნებრივ ერთიანობას — ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და მორალურ-ნებისყოფითი მზადყოფნის ერთიანობას დაუპირისპირონ რომელიმე ერთი (ან ორი) მზადყოფნა და თავგრად, გადამწყვეტად გამოაცხადონ იგი.

რამდენადმე ასე იქცეოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი ნ. მოროზოვი. რომელიც უარს ამბობდა დახვეწილ, მალალტექნიკურ, ჭკვიან მოთამაშეებზე (მ. მესხი, ს. მეტრეველი, ა. ბიბა, ხოლო შემდეგ ვ. ფოროსნინი) და მათ ამჯობინებდა ეგრეთწოდებულ „მებრძოლებს", როგორიც არიან ი. ჩისლენკო, ე. ფალაფეევი, ა. ლენიოვი.

ასე იქცევიან ახლა ზოგიერთი მომმხილველი მსოფლიოს ნ. სპაროსტინის მეთაურობით, რომლებმაც ნ. მოროზოვის ცდაში დაინახეს ვითომდა ღრმა გაგება იმისა, თუ როგორ უნდა ყალიბდებოდეს გუნდი ჩვენს პირობებში. არ ვიცი, ეველა ამგვარი მსჯელობა და დასაბუთება მე უწინარეს ყოვლისა ჩვენი ფეხბურთის შეურაცხყოფად მეჩვენება. და ასეთ მსჯელობას წარმოშობს შეზღუდული, საქმოსნური პრაქტიკიზმი, ჩვენი ფეხბურთის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და პერსპექტივებისადმი რწმენის უქონლობა.

ამ დავაში არგუმენტების ძებნა როდი დაგვჭირდება. ფეხბურთის ლიდერები — მიმდინარე წლის ჩემპიონი, ისევე როგორც უკანასკნელი წლების ჩემპიონები — „ტორპედო" და თბილისის „დინამო" — თავიანთ გამარჯვებებს მხოლოდ იმით აღწევდნენ, რომ მთელი მათი საფეხბურთო ღირსება პარმონიულ ერთიანობაში იყო.

იმოწმებენ იმას, რომ ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებები თითქოს ძალისმიერი მიმართულების გუნდებია და ახლა სწორედ ასეთი ფეხბურთის ერა დადგა. თქმა არ უნდა: ორივე ეს ფეხბურთად ჩინებულად იყო მომზადებული, მოთამაშეებს საწვავის პირდაპირ დაუშრეტელი მარაგი ჰქონდათ. მაგრამ განა შეიძლება უყურადღებოდ დატოვო ინგლისელთა ტექნიკური ილეთების შესრულების უმაღლესი კლასი და იდეალური ტაქტიკური შეხმატკბილება?

როგორც ცნობილია, ახლა, როცა ჩვენში სეზონი არაჩვეულებრივად გრძელი გახდა და ვარაუდობენ მთელი წლისად აქცეონ, წარმოიშვა შეხედულება, რომ ფეხბურთის ცენტრები გარდუვალად გადაინაცვლებს ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მაღლიან მხარეებში. შეიძლება ითქვას, მოსკოვის ყველა გუნდის ჩავარდნა რამდენადმე იძლევა საბჭოთა ფეხბურთის პერსპექტივებზე ასეთი შეხედულების საფუძვლიანობის ზოგიერ დადასტურებას. თუმცაღა, უნდა გამოვტეტდე, მე საეჭვოთ როდი ვარ დარწმუნებული, რომ უკვე შეიძლება აუღელვებლად ვადევნოთ თვალი მოსკოვის ექს-ჩემპიონების წარუმატებლობას და ვილოდოთ კარგ ამბებს სამხრეთიდან. არა, ეს გუნდები მიტად დიდ ძალას წარმოადგენენ უკვე 30 წლის მანძილზე და დანაშაულებრივი უყაირათობა და უთაურობა იქნება ჭკვიანი დავუსვათ მათ. ხამხრეთის გუნდები თუ მოიკრებენ ძალებს „ხელისუფლების დასაპყრობად", ეს მხოლოდ მოსკოველებთან სასტიკ ბრძოლაში მობდება. მხოლოდ მაშინ ფეხბურთის დედაქალაქების ეს ადგილგადანაცვლება შეიძლება საკმაოდ საიმედო გახდეს.

საამხრეთის ორიენტაციის ხისწორი უწინარეს ყოვლისა თბილისის დინამოელებმა უნდა დაამტკიცონ. ამისათვის მათ ყველა საფუძველი აქვთ, თუ 1964 წლის ხეზონამდე თბილისის დინამოელებს, რომლებიც მანამდე არასოდეს არ გამმდარან ჩემპიონები, კიდევ შეიძლოთ რამდენადმე განზე მდგარიყვნენ და თავი არ ჩაეთვალათ სამამულო ფეხბურთის ბედისათვის პასუხისმგებლად, ახლა ექს-ჩემპიონის წოდება ზრდის მათს პასუხისმგებლობას. მაგრამ აი უკვე ორი ხეზონია გუნდი მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იკავებს. იგი თითქოს კატასტროფას არ განიცდის, როგორი იტყვიან, ხსვებზე ნაკლები როდია. მაგრამ განა ეს არის ის საზომი, რომლითაც ახლა უნდა ვუდგებოდეთ თბილისის „დინამოს" მიდწევებს შეფასებას?!

ბოლოს და ბოლოს, რით არიან თბილისის დინამოელები კიევის დინამოელებზე ნაკლები? თუ კიევის დინამოელებმა წელს ხაბჭოთა ფეხბურთის ათანსცენაზე გამოიყვანეს ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშეთა დიდი ჯგუფი, მე ვგონებ, ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლო თბილისის კოლექტივსაც. ახალგაზრდა მოთამაშენი აქ არიან, და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ბევრი მათგანი აშკარად ნიჭიერია. მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშე პარტნიორთა მხოლოდ კარგად შერჩეულ გარემოცვაში აელვარდება ხოლმე.

ინგლისის ნაკრებშიც და ჩვენს კიევის „დინამოშიც" ხომ არც ერთი მოთამაშე არ კისრულობს განსაკუთრებულ, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, არამედ ბრწყინავს მხოლოდ თამაშის საერთო იდეის კარგი ვაგებით. მისი შეგნებულად შესრულებით, თამაშში თავის ამბანაგებთან სიახლოვის გრძნობით. ეტყობა, ახლა დადგა დრო, როცა მთელი გუნდის თამაშის ორგანიზაცია ისე დიდმნიშვნელოვანია, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა.

ერთხელ **ვალერი ვორონინს** ვკითხე, თუ რაში მდგომარეობს მისი აზრით ვ. მასლოვის როგორც მწვრთნელის ოსტატობა. მან თავისი პასუხი ასე დაიწყო: „ვიქტორ ალექსანდრეს-ძე უწინარეს ყოვლისა მტკიცედ აყენებს ფეხზე თავდაცვას..."

იგივე დამახასიათებელია დანარჩენი ჩვენი შესანიშნავი მწვრთნელებისთვისაც, ისეთებისათვის, როგორიც არის **ბორის არკადიევი, მიხეილ იაკუშინი, ბაბრიელ კაჰალინი.** და ეს სწორიც არის, ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდდამშვიდებული ხარ, რომ თავისი კარი კარგად გაქვს დაცული, გაბედულად შეგიძლია რაღაც საინტერესო და ახალი წამოიწყო იერიშის დარგში. ტაქტიკის საკითხებშიც თავს უნდა იჩენდეს კარგი ფეხბურთის დამახასიათებელი პარმონიულობა. მართლაც, კიეველებმა წელს ხომ არა მარტო ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს, არამედ ყველაზე ნაკლებიც გაუშვეს თავიანთ კარში. ხოლო სწორედ ეს არის მთელი გუნდის კარგად მოფიქრებული კონსტრუქციის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ, ჩემი აზრით, თბილისის გუნდი, რომელიც ძალიან მკაფიოდ კოორდინირებული ჩამოაყალიბა რამდენიმე წლის წინათ ჯერ მ. იაკუშინმა, შემდეგ კი ბ. კაჰალინმა, მას შემდეგ ამ მხრივ წინ აღარ წასულა, შეჩერდა და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა მისცა სხვებს გაესწროთ მისთვის. ეტყობა იმიტომ, რომ თბილისის გუნდის ახალ ფეხბურთელებს თამაშში ისეთივე საინტერესო იდეა არ ჰქონდათ, როგორც კიევის გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებს, მათი ზრდა შეფერხდა.

რასაკვირველია, მე არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, რომ გუნდი ახლა კარგად რეგულირებულ მანქანას უნდა მოგვაგონებდეს. არა ჩვენ გვიყვარს და კვლავ გვეყვარება ფეხბურთში პიროვნება, ინდივიდუალობა. ოღონდ ახლა მისი როლი რამდენადმე იცვლება. ეს პიროვნება ჩვენს დროში თავს იჩენს, თუ გნებავთ, უფრო შეგნებულად. მე განსაკუთრებით ვაკეთებ ამ შენიშვნას, ქართული ფეხბურთი რომ მაქვს მხედველობაში.

ჩემი მეგობრები, რომლებთანაც სხვადასხვა ქვეყნის სტადიონები შემომოვლია მიშა მესხი და სლავა მეტრეველი, სწორედ ისინი, ვისზეც ბრაზილიელთა მწვრთნელი **ფ�ola** ამბობდა, ჩემი ნაკრები გუნდისათვის ხასურველი არიანო. ისინი, ვისი ხელოვნებაც ყოველთვის თვალში გეცემა, მაყურებლებსაც მოსწონთ და ფეხბურთის მცოდნეებსაც. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ძალიან ბალალია მათი მარგი მოქმედების კოეფიციენტი. ეს შესანიშნავი ფეხბურთელები ზედმიწევნით კარგად იცნობენ და კარგად გრძნობენ ინდივიდუალური მოქმედების ზომას კოლექტიურ ღონისძიებათა საერთო ჯამში. და განა მათი გამოცდილება, მათი მაგალითი არ ეხმაურება ახლა ახალგაზრდა კიეველების ბ. ბიშოვეცის, ვ. ხმელ[illegible]ჩაკის, ვ. პარაკუშიანის გამოცდილებას!

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ თბილისელი მოთამაშენი ყოველთვის შეძლებენ დაიცვან ზომიერების გრძნობა ინდივიდუალურ ოპერაციებში. ეს საქმის ნახევარია, შესაძლოა, ნახევარზე მეტიც. იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც უნდა შეიცვალოს ფეხბურთი, რა მოდერნიზაციაც უნდა განიცადოს მან, მოთამაშის ხელოვნება მარადიულია. მაგრამ წარმატების მეორე ნახევარია მთელი გუნდის თამაშის მკაფიო ორგანიზაცია. ამ მხრივ თბილ